


1956

საბ. ა. ბანდუშვილი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ВЫЗВАНИЕ

ერთობის
გერმანიის



— გეგეა კი ხუთაშიანია, გაგრა ხეთი საუკუნის ოცნება საულდება.

Б П І Б З П

№ 4 გამოცემის „ქოშნის“ ვერსია XXXIV ვარ 2 ვა. თბილის თბილის 1956

პატარა მოსენება ღირი ქარცანების შესახებ

მეტად პასუხსაგები საქმე ჰქონდა დავალებული ფილი-მონს. ის, როგორც მთავარი ინჟინერი, მომავალ შაბათს, უზარ-მაზარი ქარხნის მთავარ კლუბში, მუშა-მოსამსახურეთა და ინ-ჟინერ-სპეციალისტთა კოლექტივის წინაშე უნდა გამოისულიყო მოხსენებით. საკითხი ეხებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობის დირექტივების განხილვას მექანის ხუთწლედის შესახებ.

ამიტომაც იყო, რომ გულმოდგინედ ჩაეირკიტებდა გა-ზეთებს, ხაზს ავლებდა სტრიქონებს, ციტატებს ნიშავდა, შუალამებდე უჯდა საწერ მაგიდას.

— რა დაგემართა, შეკაცო, პროექტს ეხება საქმე? — გამოელაპარაკა მეულე საწოლი ოთახიდან.

— პროექტს და თანაც რა პროექტს!

— რაო, ახალი შენობის აგება დაგავალეს?

— შენობა რა არი, მთელი სახალხო მეურნეობის, მთელი საბჭოთა კავშირის, მასში შემავალი ყველა რესპუბლიკის, კერძოდ ჩვენი რესპუბლიკის უფრო მეტი აყვავების, ალორძინების პროექტს ეხება.

— ვერაფერი გამიგია.

— რა გაგება უნდა, საქმე ეხება პარტიის მეოცე ყრილობის დირექტივებს მექანის ხუთწლედის შესახებ.

— მერე შენ რა შუაში ხარ? დირექტივები ხომ გაზე-თებში გამოქვეყნდა!

— იმ შუაში ვარ, რომ მოხსენებას ვკითხულობ.

— სად?


— ჩვენს ქარხანაში, შემდეგ საშეფო კოლმეურნეობაში.

— მერე შენ რომელი ციცერონი მყავხარ? იცი მაგ მოხსენებას რა მაგარი მხრები უნდა? ერთ მოხსენებაში იმ ახალ მშენებლობებსაც კი ვერ ჩამოთვლი, რაც დირექტივებშია გათვალისწინებული; აი, ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში რომ დავაშუავეთ, ისეთი მოხსენება გააქცეოს, რომ...

— ბიძია, ნაცი ჩამისხით, მალე აღარ შეგაწუხებთ, თბი-ლისში გაზი გამომყავთ.

— ეს მეც გავიგე, თლინდ ეს მითხარი—იმ გაზი ქაფი თუ აქვა?

ნახ. 4. ლევაგასი



— ჩვენი კომკავშირის ხაზითაც, მამი, — ჩაერთო ფილი-მონის სტუდენტი შვილი.

ამ ოჯახურმა რეპლიკებმა კიდევ უფრო გაამახვილა ფი-ლიმონის ყურადღება. მართლაც და იმ დიადი ამოცანების განმარტება-დახასიათება ტომებს მოითხოვს. მუშაობს ფილი-მონი, ადგენს თეზისებს, იწერს მრეწველობის, სოფლის მეურ-ნეობის, კულტურული მშენებლობის მომავალი მიმდევარების სახელწოდებებს, ტექნიკისა და მეცნიერების გრანდიოზული წარმატებების, სახალო დოკუმენტის ზრდის გიგანტურ ციფ-რებს, ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და შემდგომი აღორძინების არნახულ მაჩვენებლებს.

„მექანის ხუთწლედი—ჰეშმარიტად დიად მშენებლობათა ხუთწლედია,— იწერს ის ციტატას,— როგორც პარტიის მეოცე ყრილობის დირექტივებშია აღნიშნული, 1956—1960 წლებში მწყობრში ჩადგება მრავალი ახალი საწარმო, ჰიდროელექ-ტროსაგური, თბილექტროცენტროლი, საბჭოთა მეურნეობა და მანქანა-ტრაქტორთა სადგური, საცხოვრებელი სახლი, საავადმყოფო, საბავშვო და კულტურის დაწესებულება, გაზ-სადენი და წყალსადენი“.

„ჲო, ეს კარგია, მაგრამ მეტი დაკონკრეტება აჯობებს, მოდი ციფრები დაგასახელოთ. აი, მაგალითად, ხომ უკეთესი იქნება ვთქვა, რომ 1960 წლისათვის, მარტი ხორბლეულის წლიური დაგროვება თერთმეტ მილიარდ ფუთს მიაღწევს, ან ის, რომ ხორცის წარმოება, კარტოფილის, შაქრის ჭარბის, რის ნაწარმი ორჯერ გადიდება, საცხოვრებელი სახლე-ბის მშენებლობა 205 მილიონი კვ. მეტრით გაიზრდება, საყო-ველთაო საშუალო სწავლება ძირითადად განხორციელდება, საეციალისტთა რიცხვი გადიდება; 1950—1960 წლებში სა-ხალხო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის ძირითადი ქაბი-ტალდაბანდება გამოიხატება 990 მილიარდ მანეტში“.

„ესეც სწორია, მაგრამ უფრო ახლოს რომ მივიდეთ, კერ-ძოდ, ჩვენს წარმოებასთან, აჯობებს“, — ფიქრობს ის.

— ფილიმონ, ხომ იცი, ჩვენთან მომხსენებელმა ჩვენი რესპუბლიკის საკითხებს უფრო კონკრეტულად გაუსვა ხაზი, — გიმოელაპარაკა ცოლი, რომელიც თითქოს მიუხდა ქმრის ფიქრებს. ამან ერთგვარი ბიძგიც მისცა მომავალ მომხსე-ნებელს.

„დიახ, დიახ, მეც მაგას ვფიქრობდი“, გაივლო გულ-ში ფილიმონმა და ახალი აბზაცი ასე დაიწყო:

„მშენებლობის ფართო პროგრამა დასახული კერ-ძოდ ჩვენს რესპუბლიკაშიც: ამოქმედდება ლაჯანურის, გუ-მათის, ხრამის № 2 და შაორის ჰიდროელესადგურები, აიგება მძლავრი ელსადგურები რიონსა და თერგზე. თუნდ გროჩნო-თბილისის გაზსადენის მშენებლობა რაღ ლირს! ტელეგად-აუმათა ცენტრის აგება ხომ სულ ახლო მომავლის საკითხია, დიდი მასშტაბით გაჩაღდება საბინაო და კულტურულ-საყო, ფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა...“

ასეთია ახალი ხუთწლედით დასახული ამოცანები, რომელთა ჩამოთვლაც ერთ მოხსენებაში გაუძნელდება არა-თუ ჩემისთანა რიგითი სპეციალისტს, არამედ დახელოვნებულ მწერალსა და მშევრმეტყველ ორატორსაც“.


ამ ზედმიწევნითი ფორმულებში ჩამოაყალიბა ფილიმონმა თავისი პატარა მოხსენება და, როგორც იტყვიან, შემოქმე-დებითი შალაშინი მოიმარჯვა.

შაბათს, მოხსენებისათვის დანიშნულ საათზე, კლუბის დარბაზში ტევა აღარ იყო. მომხსენებელმა მხურევალე ტაშიც დაიმსახურა და როცა აღფრთოვანებული სიტყვების შემდეგ მას მშევრმეტყველება უქეს, ფილიმონმა მოქრძალებული სია-მაყით შიუგი:

— მე რა შუაში ვარ, ამხანაგებო, თვითონ დიდმა თე-მამ შთამაგონა! ჩემი სიტყვები რაა? ახალი ხუთწლედის გან-ხორცილების საქმე უფრო მშევრმეტყველი იქნება!

— ნამდვილად იქნება! — დაუდასტურა მქუხარე ტაშმა.

Հայութական պատմութեան



თვითმფრინავი აეროდრომს მოწყდა, ქუ-
ხილივით გადაიარა თბილისის თავზე და
ღრუბლებში მიიმაღა.

უკან, მოსკოვისკენ მიფრინავდა. ერთ-ერთი კაბიტალისტური ქვეყნის ახალგაზრდა ურნალისტთა დელეგაცია. მის წევრებს ახლაც შერჩენოდათ სახეზე კმაყოფილების ღიმილი, იმ შთაბეჭდილებისაგან გამოწეული, რომელიც საქართველოში მიიღეს. თითქოს დროის უქმადდაკარგვა ენანებოდათ, სხაპასხუპით უზიარებდნენ ერთმანეთს იმ აზრებს, რომელთა გამოთქმა აქამდე ვერ მოსწროთ.

ეტყობოდა, ქერათმიანმა ახალგაზრდამაც
კარგად იცოდა დროის ფასი. ეტყობოდა, მის-
თვისაც არ იყო უცხო კმაყოფილების ღიმილი;
განცალკევებით იჯდა, ცხვრის უბის წიგნაში
ჩაერგო, სწრაფად შლიდა ფურცლებს და ხან-
დახან ისცო სატანისებური სიხარული გაუ-
ნათებდა თვალებს. თითქოს მილიონერი ბიძის
დატოვებულ ანდერენში თავის სახელს მიაგოო.

«დაქტები არავითარ შემოსვევაში არ
დაამასხინჯოთ, — უთხრა მას რედაქტორმა, —
მაგრამ თქვენ უფლება გაქვთ საპუთარი კომენ-
ტარიზმისა».

ମିଶ୍ରଦା କୁଣ୍ଡଳ, ମିଶ୍ରଦା, ରାଜାପୁ ଗୁଣ୍ଠଳ-
ଶମିନ୍ଦର ର୍ଯ୍ୟାତ୍ମକାରୀ. ମାରନ୍ତଳାପ ରା ଶେଷଲ୍ଲେଖ
ଜୀବତ୍ତେବି ଶ୍ରୀଲ ଏହ ଦାମାବିନ୍ଦୁ, ମାଗରାମ ଅମାଙ୍ଗ
ଧରନୀ... ଓ ଦରଖଣ୍ଡାରୀ କୁରିନ୍ଦାଲିନ୍ଦୁରୀ କେର-
ଳିବା, କୁରାଙ୍ଗିନ କୁରା ମନ୍ଦର୍ମୁଦ୍ରାବିଦିଶିରି...

და თავის კურნალისტერ ტალანტის
გამომედავნებას მოწყვერებულმა ქანია თითო
დაუქნა ამხანაგს, თავის უბის წიგნაკზე მიუ-
თითა და ანიშნა—წაიყითხეო.

ამხანაგმა უბის წიგნაკი ჩამოართვა, უკანა სკამზე მახდომნიც დაინტერესდნენ, წინ გადასახარენ და ჩრდილ დაიწყეს კითხება:

«თბილისის პიონერთა სასახლეში შესვ-

ლისას ფეხი დამიცდა და კინაღამ წავიტური,
რაღაც პარეტის იატაკი ზედმეტად მოპრი-
ალებულია, — ასე იწყებდა ფანი თავის დღი-
ურს. — იძულებული გვიავი დამეცადნა და ჩე-
მი ამხანაგები გამეუროთხილებინა, რომ არ წაქ-
ცებულიყვნენ. ამ დღიდან გადაწევიტეთ, რომ
ყოველთვის ერთად გვევლო.

შეხვედრა გვქონდა პიონერთა სასახლის უცხო ენების კაბინეტის წევრებთან. ქართვე-

ლი პიონერი გოგონა, რომელმაც გრძელი მი-
სასალმებელი სიტყვა ფრანგულ ენაზე წარ-
მოთქვა, სირცხვილისაგან გაწილდა. რაღაც
აშეარა იყო, რომ მისი ფრანგული გამოთქმა
მოიკოჭლებდა. მე მომაგონდა ცერიიალი, პა-
რიზელი გოგონები და ოვალებზე ცრიმელი
მომერია: რა შედარება, ჩვენს თავისუფალ
ფრანგ ბავშვებს ხომ გაცილებით კარგი გამოთ-
ქმა აქვთ.

თბილისის პიონერთა სასახლე, ერთი შე-
ხედვით, სამოთხეა ბავშვებისათვის. აქ ჩამო-
ყალიბდებულია ყოველგვარი სამცუნაორ წრეე-
ბი და ხელსაჭმის, ხატვის, ლიტერატურის კა-
ბინეტები, პიონერთა სიმფონიური ორკესტრი,
თოჯინების თეატრი. მაგრამ ეს ხომ ბავშვთა
ექსპლოატაციის გაუგონარი მაგალითია. არც
სიმფონიური ორკესტრის შეკრები, არც ნორჩი
მხატვრები და პოეტები ხელფასს არ იღებენ?!
როგორიც იტავიან, კომენტარები ზედმეტია.

აქ ბაგშვებს უკრძალავთ ქართული. კლასიკური ღიტრატურის კითხვას. ჩემი ყურით გავიღონებ. ბიბლიოთეკის გამგებ როგორ ჩას-ჩურჩულა ყურში 8 წლის გოგონას: «ჩემმა ჩია, «კეფხის-ტყაოსანი» ჯერ ადრეა შენ-თვის».

აქ არ არის გავრცელებული ამერიკული კომისები. მაგრამ ბავშვები უფროსებს ყურს არ უგდებენ და მაღლად კითხულობენ ქართულ დედექტიურ ნაწარმოებებს. როგორიცაა: «მამის მკვლელი», «სახრჩობელაზე», »კაცია-დამიანი?!», «ლვინა გადაიჩება», «გაბზარული გული» და სხ.

იმავე დღეს, სალამოს, ჩეგნ აგვიყუანეს
ე.წ. მამა დავითის მთაზე. მთის ალატოზე
მშვენიერი პარკია გაშენებული, მაგრამ სწო-
რედ ეს ფუტკი მოწმობს იმას, რომ ქალაქი
ადგილის სივიწროვეს განიცდის და პარკებს
მოებზე აშენებენ. როდემდე მოითმენს ამას
მშრომლი ადამიანი?

ჩვენ დაგვასწრეს ფეხბურთის მატჩს.
უნდა ითქვას, რომ ქართველი ფეხბურთელების თამაში კარგ შთაბეჭდილებას სტოკებს, მაგრამ ქართველ მაყურებლებში სრულიად დაჩლუნებულია ნაციონალური სიამაყის გრძელობა. როდესაც თბილისელებმა ცუდად აგებული თამაშის გამო წააგეს კიველებთან, ქართველ მა მაყურებლებმა, იმის მაგიგრად, რომ მინდორზე გადასულიყვნენ და ერთი კარგად მიეცევათ კიველები, პირიქით, ტაშით დაკილდოეს ისინი, თავიანთი ფეხბურთელები კი სტკონით გააკილეს.

საბორთა საქართველოში ამ ოცდათზე
მეტი წლის განმავლობაში თანდათან ისპობა
განსხვავება. სოფელსა და ქალაქებს შორის, რაც
საშინელ ერთფეროვნებას იწვევს, და თუ გა-
ზეთებში მოთავსებულ ფოტოსურათებს წარ-
წერა არ ეძნა—ვერც მიხვდებოთ სოფლის ძუ-
ჩაა გადაღებული, თუ ქალაქის, სოფლის კლუ-
ბია თუ ქალაქის, სოფლის სააგადმქოფოა, თუ
ქალაქის. ამიტომ აქეურ გაზეთებში იშვიათად
ნახავთ უწარწერო ფოტოსურათს, ეს კი ზედ-
მეტ ხარჯებს იწვევს.

აქ გშრომების მოსახლეობა ვერ პოულობს თავისი პროფესიის შესაცერ სამუშაოს და იძულებულია სხვა დარგში იმუშაოს. მაგალითად, მე გამაცნეს ერთი ზეინკალი, რომელიც უმაღლესა საპტონ დეპუტატად მუშაობს, ერთა ბიოლოგიის პროფესორი კი, თქვენ წარმოიდგინეთ, იქამდე მიუყვანათ, რომ სასა-

ମାରିତଳନଶ୍ଚ ସାବାଲକ୍ଷ ମୁଦ୍ରାଜୀବିନ୍ଦୁରେ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ହେବାରୁ
ଶୁଭେଶ୍ଵରାବ୍ଦୀ ।

აი, რას «მიღმწია» საბჭოთა საქართველომ თავისი არსებობის 35 წლის მანძილზე. თბილისი გაშენებულია მდინარე მტკვარზე, რომელიც გაცილებით პატარაა სენაზე. ქალაქში მრავალი მძლავრი ქარხანა-ფაბრიკაა გაშენებული, მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები უფრო მეტია. ამ უკანასკელზე მეტი კი ხარაჩოებში ჩასმული სახლებია. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ჩვენ ვიყავით რუსთავში, უზარმაზარ
მეტალურგიულ ქალაქში. გამყოლები ცდი-
ლობდნენ დაგვეჯერებინა, რომ რამდენიმე
წლის წინათ ეს ადგილი მოხრიოკებულ. ტიტ-
ველ ველს წარმადგენდა, რომ აյ ერთი სახ-
ლიც არ იდგა. «რუსთავს ჯერ 10 წელიც არ
შესრულებიათ», აცხადებდნენ უსირცხვილოდ.
გულშ გამეცინა, როდესაც მოშორებით ძველი
ციხის ნანგრევებს მოვკარი თვალი. ეს ციხე
ხომ მეტალურგიული ქალაქის ხანდაზმულო-
ბაზე ლაპარაკობს!..

წაგვიყანეს «თბილისის ზღვის». დასათ-
ვარიეტებლად. ეს ადგილი ხრომი ველი იყო. (ძალიან უყვართ ეს ტერმინი), ახლა საჭიროა
ხელისუფლების პირობებში არხი გავიყვანეთ
და მინდვრები ავაბიბინეთო», სინამდვილეში
ჰი ეს ე. წ. «მღაშე ტბაა», რომელსაც რაღაც
აუხსნელი ვეოგრაფიული მიზეზების გამო სა-
ოცრად მოუმატნია.

შეცემაში ვნახეთ რევლი ტაძარი — სვე-
ტიცხოველი, რომელიც გაცილებით პატარაა
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარზე. უნდა ით-
ქვეს, რომ საბჭოთა კავშირში ძველი კულტუ-
რის ძეგლებს ცუდად იცავენ. მაგალითად, სა-
ქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაყა-
რების პირველ წლებშივე, სვეტიცხოვლის მახ-
ლობლად ერსადგური ააშენეს. ასევე გაუყვა-
ნიათ რეკინგზის ხაზი ტყიბულის ქვანახშირის
საბადოებისაკენ, ამ გზაზე კი, ისტორიული
ძეგლი — გელათის ტაძარია გაშენებული. რო-
გორც იტყვიან, კოშენტარები ზედმეტია.

თეატრალური კულტურა საბჭოთა საქართველოში შეუ საუკუნეების დონეზეა: მაგალითად «ოტელო» ტექსტი ისევეა დარჩენილი, როგორიც შექმნილმა დაწმურა»...

ითმინეს, ითმინეს უანის ამხანაგებმა,
ბოლოს კი მოთმინების ძაფი გაუწყდათ და
ყველა ერთხაშად შემობრუნდა უურნალისტი-
საუნ.

— შვერინი დაგიწერია, ეს, მართა-
ლი გითხრა, შენგან არ მოველოდი ასეთ
სატატობას.—რაღაც უცნაური ხმით წარმოთ-
ქვა სათვალეებითანმდე ახალგაზრდამ, რომელიც
ყანის უბის წიგნაკე ხელში ატრიალებდა,—
მაგრამ ერთ ჩერევას მოგცემ, — განაგრძო მან, —
კარგი იქნება, რომ შენს დღიური ერთი ასე-
თი პაზაციიც დაუმატო, ყური მიგდე: «საბჭოთა
კავშირიდან ისეთი შთაბეჭილებებით ბრუნ-
დებიან უცხოელი სტუმრები, რომ ხანდახან თა-
ვიანთი ამხანაგის «გულწრფელ» შთაბეჭილ-
დებებს საბჭოთა კეყინის შესახებ არც კა-
იჯვრებენ». — წარმოთქვა სათვალეებითანმდე და
უანის უბის წიგნაკე შუაზე გადახა.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმე-
ტია.

კარგი სახლი აშენდა ამ სამი წლის წინათ ქებურიას ქ. № 40-ში. მის შენებლობის სისწრაფე ახლომახლო მცხოვრებლებს დღემდე სარეკორდო აქტ მიჩნეული და მის მრავალმხრივ მომარავებაზე კამათს ახლაც არ დაუკარგას მეზობლებს შორის სიცხოველე და სიმწარე. და მართლაც განა საჭიროელი არ იყო, რომ გარჯის მაღაზე მოსულ ხელოსნებს არც ფიცარი აკლდებოდათ და არც ცემენტი, საკოჭი დროულად მოსდიოდათ და საყვავეცერთი სიტყვით, სახლის მეპატრონეს. მაღრაძეს კველასგან ძნელად საშოვნელი საშენი მასალა ეზოში გამოულევლად შემოსდიოდა და სერგოს მარიფათთ ფესვებგამდგარი ორსართულიანი სახლი დღითიდლე შევენირდებოდა!

— საკუთარი ტყე ექნება საღმე გაშენებული!

— ტყე კი არა, მარიფათთ და შნო თქვი, თორემ ასეთ მუხის კარ-ფანჯარას ასე ადვილად სად იშოვი!

უკვირდათ მეზობლებს და ახლად წამოჭიმულ სახლს შორიახლოდან შენატროდნენ. მაგრამ როდესაც შრომა-გასწორების № 3 კოლონიის უფროსის ყოფილმა მოადგილემ ს. მაღრაძემ ეზოში საიდანლაც მოტანილი ახალთახალი რკინიგზის რელსები ჩამოცალა, ფხიზელმა მეზობლებმა ჩურჩულს მოუმატეს, და ერთმა მათგანმა მ. შ-ლმა

გულის დასარხეინებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა ს. მაღრაძის ყოვლის შემძლება. სწორედ ეს პატარა ბარათი გაუხდა მ. შ-ს თავგედის საწყევლად. ამ ბარათმა გაირბინა შავ კატასავით მეზობლებს შორის. დაიწყო კომისიის შემოწმებითი მუშაობა, აზომვა და მთელი რიგი ისეთი მოქმედებანი, რაც უმეტეს შემთხვევაში სასამართლო მუშავების შეწუბებით მთავრდება ხოლმე.

შრომა-გასწორების ბანაკებისა და კოლონიების პოლიტგანცოფილების თანამშრომლებმა—კოპალეიშვილმა და ჯავარიძემ დიდან ს. „იკვლიეს“ ს. მაღრაძის მიერ „შეძენილი“ სამშენებლო მასალის სადაურობა. ჯერ ფიცარი შეამოწმეს, შემდეგ კედლებში გარჭობილ რკინის რელსებსაც გახედეს დაეჭვებული თვალებით, თავიათ სახელოსნებში დამზადებულ კარ-ფანჯრებს დამნაშავესავით ხელიც მიუბრახუნეს და გაკვირვებულებმა ლაზათიან სახლს დაუწყეს დათვარიელება.

— მართლაც რომ კარგი სასახლე აუშენებია ჩვენს სერგოს, ხე-ტყის მასალაც ჩვენია და კარ-ფანჯრარიც. ბუნების ძალამ მშევიდობაში მოახმაროს, ყოჩალი კაცია და მაგაზე ალალია.

— ამ რელსებს რა ვუყოთ, სირტყელივით რომ აქვს სახლს გარშემო შემოხვეული?

— აქტში ნუ შევიტან, სერგო მოხერხებული კაცია, იშოვიდა საღმე!

შედგა აქტი, დაიხარჯა გულის ამაჩუებელი სიტყვის გორები, ხელი დაეფარა მაღრაძის მიერ „საიდანლაც“ მოტანილ სამშენებლო მასალას, ძირფესვიანად იქნა განადგურებული მ. შ-ლის ბრალდება და ორგვერდიან მოხსენების ბარათმა ააშენდა.

ბით ბარათში ისეთი სადლეგრძელოს ბური დასკვნა დაიწერა, რომ მშენებლობის მადაზე მოსულმა ს. მაღრაძემ ლენინის რაიონის მესამე უბნის შილი-ციის განკოფილებაში განცხადება შემოტანა, „ცილისმწამებულო“ მ. შ-ლის წერილი შეაღმდეგ მრავალსართულიანი ბრალდება ააშენა:

„ჩემს სპერტა ადამიანურ სინდისა და პატიოსნებას ცილისმწამებლური წერილი შეკვადრა“.


„ცილი დამწამა მე. უაღრესად პატიოსან აღამიანს“.

„ცილი დასწამა“, ჩაილაპარაკა მილიციის ყოფილმა უფროსმა გამომძიებელმა გ. სტურუამ და საქმე შეადგინა. „ცილი დასწამა“, გაიმეორა ლენინის რაიონის პროკურორმა ჩიქვანაიამ და დაპატიმრების სანქცია გასცა. „ცილი დასწამა“, დაადასტურა იმავე რაიონის მეოთხე უბნის ყოფილმა მოსამართლემ ლომიძემ და მ. შ-ლს წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

დიდან არ მოუხდა მ. შ-ლს საპატიმროში ყოფნა, საბჭოთა სამართლის მუშავებმა დროულად მიიღეს ზომები უსწორო განაჩენის გასაუქმებლად, მაგრამ უდინაშაული მ. შ-ლის ცილისმწამებლები დღესაც კარგად გრძნობენ თავს და დრო არის მართლმსაჯულების წინაშე პასუხი აკონ...

მართლაც რომ კარგი სახლი აშენდა ქებურიას ქ. № 40-ში, აივნიანი და ნათელი, ფართოქერიანი და მკვიდრი. მაგრამ შენობას საძირკველი პატიოსანი შრომით შექმნილ მკვიდრ საფუძველზე არა აქვს გაჭრილი და სიმართლის ლალი ქარი ხომ არ გაუჩენს მას საშიშნაბარებს?

3. გრძელი გვირები



— საოცარია, ერთი კვირის წინ რაიონში მაგზავნიდით, აქ ადგილი არა გვაქვს, ასე ერთბაშად როგორ გათავისუფლდა ემცი აღგალია?

— საოცარი არაფერია, ჩვენი დირექტორი ცოლს გაეცარა.

თბილი გრასტანის გარები

მოქალაქე—რატომ გაძირდა მწვანილი? **გამყიდველი**—თქვენი არ მიკირს, ასეთი კარგი ჩატარები, ნასწარი კაცი და ასეთი უბრალო რად არ იცით? ზამთარში თბილისში მწვანილი იმიტომ ძირდება, რომ დიდი მოთხოვნილებაა წითელ ღვინოზე და მასთან ერთად მწვანილი ძალიან სასიმოვნო საჭმელია, წითელ ღვინოს ზამთარში უფრო შეტა გასაღება აქვს, ვიდრე ზაფხულში.

მოქალაქე—ამ აღმოჩენის მისაგნებად დიდი ხანი დაგჭირდათ?

გამყიდველი—კაცი, მე რა აღმომჩენი მნახე, მე მეცნიერებისა რა მესმის! ეს საკითხი მეცნიერულად თბილისის უნივერსიტეტის დოკუმენტში ქოჩაკიძემ დააშუშავა, მე მოლოდ სიტყვა-სიტყვით გავიმეორე. შე რა მეცნიერი მნახეთ?

თბილისის კაბენი

თბილისის ერთ-ერთი რესტორნის მხარე-ულთა კოლექტივმა ენერგიული მუშაობის შედე-გად დიდ წარმატებას მიაღწია ახალ პროდუქტთა-დამზადების საქმეში. კოლექტივმა ხახვისა და სხვა შევანილ-საქმაზის შეზღვებით შევი პურისაგან მი-იღო მაღალხარისხოვანი ხორცი. რომელმაც ფარ-თო გამოყენება ჰპბოვა კატლეტისა და წნიცელის დამზადებაში. მოწინავეთა გამოცდილება სწრაფად ინერგება თბილისის ზოგიერთ სასადილო-რეს-ტორანში.

თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკამ, სიგარეტ „პრიმას“ უფრო ფართო მოხმარების მიზნით, სი-გარეტში შეაზავა ფიჩია, ნაფორი, თამბაქოს ლერო და მტვერი. ასე დამზადებული სიგარეტის უპი-რატესობა ის არის, რომ ბოლმით ახრჩობს და თვა-ლებს უბრმავებს „მტერს“, კვამლი გამოდის დაზი-გვით, მომხმარებელს ქაჩაში უნვითარდება ყბისა და კისრის ძარლვ-კუნთვები, ასეთ „პრიმაზე“ ამ-ბობენ — წყალში გადასაყრელია, მაგრამ ცდამ დაამტკიცა, რომ ცეცხლშიც კარგად იწვის. თბი-ლისის თამბაქოს № 1 ფაბრიკამ სოცეჯიბრებაში გამოიწვია თამბაქოს ფაბრიკა № 2.

თბილისის ფეხსაცმელების არტელებმა გამო-უშევს მამაკაცის ფეხსაცმლის ახალი მოდელი. ფეხსაცმლი ტექნიკურად ისეა მოწყობილი, რომ მასში შესული წყალი დაუყოვნებლივ გამოდის გა-რეთ, რაც მომხმარებელს აზლვევს გაცივებისაგან. ერთი კვირის ხმარების შემდეგ კი ფეხსაცმელს ეხდება ტენტი, ანუ ზედაპირი, დაშუოლით თითე-ბის განივების მიზნით.


თბილისის კინოებმა. მასების ერთმანეთთან უფრო დაახლოების მიზნით, ფართოდ გააჩაღეს ტეშაობა ერთ ადგილზე ორი ბილეთის გაყიდვის დარწი. ჩატარებულ ცდებს ესწრებიან მილიცი-ელები და ადგინისტრაცია. ცდამ სასურველი შე-დეგი გამოილო, სპეციალისტების შემოსავალი ერ-თორია გაიზარდა და, რაც მთავარია, ეს ხელს უწყობს გამოცალებების დარბაზში. ცდები, რო-გორც წესი, ყოველდღე წარმოებს თითქმის ყველა კინოში. მიღებული სარწმუნო ცნობებით მსხვერ-პლი არის.

განსაკუთრებულ წარმატებას ტექნიკის დარ-გში მიაღწიეს თბილისის აბანოებმა. გამოგონებუ-ლია შეაპის ახალი მოდელი. ახალი შეაპი იმდე-ნად რაციონალურია, რომ დარბაზში დგას ერთი ან ორი „იგზემპლარი“ და მომსახურებას უწევს ასობით მომხმარებელს. შეაპი მუშაობს რადიო-ლიკით. როდესაც მასში მოღის ყინულივით წყალი, მომხმარებელმა უნდა ჩაიწყოს პირი თხით თითო, დაუსტევინოს და იკივლოს „ცივია!“ კივი-ლის ბეჭრის ტალები მოხვდება მომსახურე პერ-სონალის ყურის სქელ ფირფიტის, გამოიწვევს მის ზარტ რევენის. და შეაპი წამოვა მდუღარე. მომხმა-რებელი იძოვებს იმავე მოქმედებას, ოღონდ ამ შემთხვევაში ჰქივის „ცხელი!“ მდუღარეს ცელის კინული და ასე შემდეგ — განუწყვეტლივ.

ახალი შეაპი საძლიერი თველსაზრისითაც დიდ შედეგს აღწევს. იგი საოცრად უწყობს ხელს მომხმარებელებში გრიპის, სურდოს, ფილტვების ანთების, კიბლების კაშკაწისა და ინფექციური სი-ლურჯის გამოვლინებას.

მომხმარებლებო, ისარგებლეთ ტექნიკის ახა-ლი მიღწევებით!

ქრონიკები შეაგრძნეს ჭ. დუმბაშვილი



ნახ. გ. ფირცხალავახი

— ამს. მთართველო, ამ გრაფიკს მაინც ჩამოყევით, შახტში ჩამო-გეყვანა.



— ხანიკონის წიგნი რაღას მოგაქვთ, მე არ მითხოვნია!

— ბარებ ხალილთან ერთად მოგიტანეთ, ნახადილებს დიდი მთ-ხელება აქვთ...

ობუვნები მუზეუმი

აშენაკული თუმონებები

— არა, არავითარ შემთხვევაში, ყმაწ-
ვდლო, — უთხრა ბანკირმა ვილიამსმა ახალ-
გაზრდა დას, რომელიც მის წინ იჯდა სა-
ვარექლში. — არასოდეს, ბატონო ჩეივინ! უ-
რადღებით მომისმინეთ და შეეცადეთ ისწავ-
ლოთ რამე.

თქვენ მთხოვთ ჩემს ქალიშვილს ლოტას.
უთუოდ, გსურთ განდევთ ჩემი სიძე. იმდედ
გაქვთ, რომ საბოლოოდ მექვიდრეობასაც
მიიღებთ. ეს-ესაა გვითხეთ, გაგაჩინიათ თუ
არა რამე ქონება-მეთქი; თქვენ მიასუხეთ,
რომ თქვენს შემოსავალს შეადგენს მხოლოდ
ორასი დოლარი.

შეგიძლიათ მითხრათ, ერთ დროს თქვენ
ეს ორასი დოლარიც არ მოგეძევებოდათო.
მართალიც იქნებით, მაგრამ თქვენი ხნისა
რომ ვიყავი, უკვე საკმარის მოზრდილი ქო-
ნება გამაჩნდა, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ
ეს თავი მაბია, თქვენ
კი არა. აპა, სავარექლ-
ში ვეღარ ისვენებთ?
გორჩევთ, მშვიდად იჯ-
დეთ: ჩემი მსახური —
ჯანიანი ზანგია! მომის-
მინეთ უურადღებით და
კარგად დაიმახსოვ-
რეთ.

თქვესმეტი წლისა
რომ ვიყავი, ბიძაჩემს
გამოვეცხადე ნებრას-
კუში. ფული ისე მვირდებოდა, რომ პირდა-
პირ არ ვიცოდი, რა მექნა. შევუჩნდა ბიძა-
ჩემს და დავითანხმე — ნება მოეცა მის მამულ-
ში სიკედილით დასჯიათ ზანგი, რომელსაც
ლინჩის წესით უპირებდნენ გასამართლებას.

ზავანიანი ჩამოახრჩეს ბიძაჩემის მამულ-
ში. მიწის ნაკეთი შემოვლობეთ და ზანგის
სიკედილით დასჯის ნახევის მსურველებისგან
ფული აყრიცეთ. როცა ზანგი ჩამოახრჩეს,
ხელი მოუსვეო მთელ შემოსავალს და იმ საღა-
მოსვე გადავიდარებ.

ჩამომხრჩალმა ზან-
გმა ბელნიტება მომი-
ტანა. ამ ფულით ჩრდი-
ლოეთში მიწის ნაკეთი
ვიყიდე და ხმა გავაკრ-
ცელე, ნაკეთი რომ გა-
დავხანი, ოქრო ვიძო-
ვი-მეთქი, ნაკეთი დი-
დი მოგებით გავყიდე.
ფული ბანქში შევინახე.

რა თქმა უნდა, იმ
კაცმა, ყინულშე რომ
გავაცრე, სასიკედილოდ არ დამინდო, ზაგ-
რი ტკვა მარჯვენა ხელში მომხვდა და,
თუმცა ხელის შტევნის ძვლები დამიმტკრია,
სამაგიეროდ ორი ათასი დოლარი მარგუნა
დასახირების ასანაზლურებლად.

როცა გამოვმრთელდი, მთელი ჩემი ფულით
იმ საქველმოქმედო საზოგადოების აქციები
შევიძინე, რომელიც ინდიელებით დასახლე-

ბულ ტერიტორიაზე საყდრებს აგებდა. სა-
ზოგადოება ჰყილდა საპატიო დიპლომების,
რომლებიც ას-ასი დოლარი ღირდა, მაგრამ
ჩემ ერთი პატარა საყდრებიც კა არ აგვიგია. მალე საზოგადოება იძულებული გახდა თავი
გაკოტრებულად გამოეცადებინა. ეს მოხდა
სწორედ ერთი კვირის შემდეგ, რაც მე ჩემი
აქციები ბეჭვინა ტყავებზე გადავცალე, რო-
მელთა ფასი სწრაფად მატულობდა. ჩემს მიერ
დაარსებულმა ტყავის ქარხანამ დიდი ქონე-
ბა შემძინა. ყველაფერი ეს იმიტომ. რომ ნაღდ
ფულზე ვყიდდი, ვყიდულობდი კი ნისიად.

ჩემ კაპიტალ გავანაწილე კანადის სხვა-
დასხვა ბანკებში და თავი მეც გაკოტრებუ-
ლად გამოვაცადე. დამაბატიმრეს, მაგრამ
გამოძიების დროს ისეთ სისულელებს ვჩიპ-
ხავდი, რომ ექსპერ-
ტებმა სულიო ავად-
მყოფად ჩამთვალეს.
მსაჯულებმა არათუ გა-
მამართლეს, იქვე, სასა-
მართლოს დარბაზში
ფული შემიგროვეს. ეს
ფული სასესმით საქ-
მარისი იყო, კანადამდე
რომ მიმეღწია, სადაც
მთელი ჩემი კაპიტალი
მქონდა შენახული.

ბრუკლინელ მილიონერს ჰამელსტის ქალი-
შეილი მოვტაცე და სან-ტრანკისეკოში წავი-
ყავნე, მამამისს კი ვაკონბე, რომ ქალს მანამ
არ გავუშვებდი, სანამ დრო არ დადგებოდა
გაზეთებში სენსაციური ცნობა დამებეჭდა,
სახელდობა: „მისტერ ჰამელსტის ქალიშეი-
ლი უკანონო ბავშვის დედაა“. მილიონერი
იძულებული შეიქნა მოეთხოვებია ქალი. ხე-
დავთ, ბატონო ჩეივინ, რა ვიყავი თქვენი
ხნისა, თქვენ კი ისეთი არაფერი გაგიკოო-
ბიათ, რაც ადამიანს ათქმევინებს — აი, მკვი-
ანი კაციო.

მეუბნებით, თქვენი ქალიშეილი სიკედილის
გადავარჩინე, როცა იგი ნავით სეირნობის
დროს ზღვაში გადავარდა. კეთილი, მაგრამ
მე ვერ ვხედავ, რა პრაქტიკული აზრი ჰქონ-
და ამას თქვენთვის — მგონი, ახალთახალი
ფეხსაცმელი შეგიწირავთ ამ საქმისათვის.

რაც შეეხება ჩემი ქალიშეილისადმი თქვენს
გრძნობებს, ჩემთვის ვაუგებარია, რაც უნდა
გავილო ფული საქათარი ჯიბიდან ამ გრძნო-
ბებისთვის, მით უმეტეს ისეთი „სიძისთვის“,
რომელიც გახვრეტილ გრძნშადაც არა ღირს.
აი, თქვენ ისევ ცმუქავთ სავარექლში. გთხოვთ
დამშვიდდეთ და გულაბილად მიპასუხოთ:
რამე ამის მსახავი გაგიკეთებიათ თქვენს
სიცოცხლეში?

— არა.

- გაგაჩინიათ რამე ქონება?
- სამწუხაროდ, არა.
- ქალიშეილ ს მთხოვთ?
- დიაბ.
- უყვარხართ?
- ვუყვარება.

— ერთი უკანასკნელი ეითხეაც: რამდენი
ფული გაქვთ ჯიბეში?

— ორმოცდაექვსი დოლარი.

— კეთილი, მე თქვენთან ოცდაათ წუთშე
მეტი ვისაუბრე. გსურდათ გაგეგოთ, როგორ
კეთილი ფული. პირა, ასე, თქვენები მეტე.
ვინის იცდათ დოლარი! თითო ცოლანი მეტი მარკა
თო წუთში.

— კი, მაგრამ, ნება მიბოძეთ... — პროტე-
სტი განაცხადა ვაუმა.

— არავითარი, „ნება მიბოძეთ“, — ჩაიცნა
ბანკირმა და კითერბლატს დაბედა. — თქვენ-
გან უკვე კიდათერმეტი დოლარი მერგება:
კიდევ ერთი წუთი გავიდა.

როცა სახტად დარჩენილმა ჩეივინმა გა-
დაიხადა დასახელებული თანხა, მისტერ ვი-
ლიამში თავისიანდ სთხოვა:

— ახლა კი, კეთილი ინტერ, და დასტუ-
რე ჩემი სახლი, წინააღმდეგ შემთხვევაში
ძალას მივმართავ.

— თქვენი ქალიშეილი? — უკვე კარგიში
იყო ვაუ, რომ იკითა.

— უკეულ ვერ ელირსება მას, — მშეიდად უბა-
სუხა მისტერ ვილიამშიმა, — მიბრძანდოთ, თა-
რებ იძულებული ვიქენები კინწისკვრით გა-
გაგდოთ.

— კარგი სიძე კი მეყოლებოდა, კარგი
მოვეიდა მის თავი! — უთხრა ვილიამშიმა — თა-
ვის ქალიშეილს, როცა ჩეივინი გაისტუმრა. —
ის შენი შეუვარებული მთლად სულელია. ვი-
რასოდეს ჭეუას ვერ ისწავლის.

— მაშასადამე, — ფრთხილად შეეკითხა ლო-
ტა, — მას ჩემი ქმრობის იმედის ნატაბალიც
აღარ უნდა ჰქონდეს?

— ამ ვითარებაში
ეს მთლიანდ გამორი-
ცხულია, — კატეგორი-
ულად განაცხად მის-
ტერ ვილიამშიმა, — სა-
ნამ იგი რომელიმე მარ-
ჯვე იღეთით საწინააღ-
მდეგოს არ დამტკი-
ცებს, მას არავითარი
იძედი არ უნდა ჰქონ-
დეს.

— და მისტერ ვილი-
ამში ასლა თავის ქალიშეილს გადასცა ბიძის
მამულში ლინჩის წესით ზანგის დასჯის ამ-
ბავი, უაბო აგრძელეთ, რა დიდი დავა ჰქონ-
და მილიონერ ჰამელსტია:

— ზენს ნაცნობს მე ბევრი რამ ჰქონდეს
სასწავლებელი გავუზიარე.

მერე დღეს ვილიამის თავის საქმეებზე
გაემგზარო. ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა
ზინ და სამუშაო მაგიდაზე შემდეგი შინაარსის
ბარითი ნაა:

«დიდად პატივებული მისტერ ვილიამში
გულითად გამორიცხავ განირვეთ იმ ჩეივინა-
სუბი, რომელიც თქვენგან გასულ კვირას მოიცნიონენ.
თქვენმა მაგალითმა ისე აღმაფრთოვანა, რომ
თქვენს ქალიშეილთან ერთად კანადას წავედი და
თან თქვენი სუფრანან მთელი ნაღდი ფული და
ფასიანი ქაღალდები წავიდოთ.

პატივისცემით ჩეივინი.

ქვემოთ მიწერილი იყო:

«აერიფს მამა!

გთხოვთ დაგვლოცოთ, და აქვე გაცნობებთ:
რა გასაღები ვერად ვიძოვეთ, სუიტი ნიტრო-
გლიცერინით აგავითმეთ.

გუნდი, ლოტა».

ჩეხურიდან თარგმა

უალვა გვინჩიდა.



ნიანგის კასები

კედლის გაჭერა „ჩვენი კუთხის“ კორესპონდენტ ჭიშიკა
ბობიყაძის კითხებზე

კითხვა—რა მოგწონთ ყველაზე მეტად ჩვენს ოპერაში?
პასუხი—ბალეტი.

კითხვა—რატომ დადიან ბალერინები ფეხისწვერებზე?
პასუხი—მაყურებელი რომ არ გამოაღვიძონ.

კითხვა—რაზი არიან ჩვენი კინომსახიობები დაოსტა-
ტებულნი?

პასუხი—უცხოური ფილმების გახმოვანებაში.

კითხვა—რა მიგაჩიათ კომპოზიტორის ყველაზე საყვა-
რელ ინსტრუმენტად?

პასუხი—რადიომიზლები.

კითხვა—გმადლობთ. როდის იქნება დროული მისამიმ-
რების დეპეშის გაზიავნა?

პასუხი—გარდაცვალებამდე, რომ დაკრძალვამდე მაინც
ჩაუსწროს.

კითხვა—რატომ არ გვიბრუნებს მოლარე ხურდას?

პასუხი—მომმარებელთა სწრაფი მომსახურების მიზნით.

კითხვა—თუ შეგიძნევიათ განსხვავება გამყიდველსა და
მექანის შორის?

პასუხი—გამყიდველი 95 სმ ნაჭერს მეტრად მოგიზო-
მავს, მეტრავი კი მეტრს 95 სანტიმეტრად მი-
იზომავს.

კითხვა—თქვენი აზრით, ვინ გავა წელს ჩემპიონად სა-
თხილამურო სპორტში?

პასუხი—გავა, უსათუოდ გავა.

კითხვა—ვინ იყო პირველი ქართველი ალპინისტი?

პასუხი—ვახტანგ შეფერ. („იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა
მოებმა იწყეს დრეკა“).

კითხვა—გაფრენილა თუ არა ვინმე მოვარეზე?

პასუხი—პოეტის გარდა არავინ.

კითხვა—ამ ბოლო დროს ვარსკვლავები რაღაც მკრთა-
ლად ბეჭტავენ. რატომ?

პასუხი—ალბათ, ქელასის ქსელში არიან ჩართული.

— გმადლობთ.

— არაფერია.

ხაუბარი ჩაწერა ცანიალავ

ქარაგმარი ნაკვესები

1. მეუნიერმუშავერი ხარისხიანი იყო,
ოლონდ დისერტაცია ჰქონდა უხარისხო.

2. მაღაზია ისე გადატვირთულიყო ნივ-
თებით, რომ ნემსისთვის ადგილიც ვერ
ეპოვათ.

3. ელექტრომონტიორი აბონენტს შუ-
ჭის გადაჭრით ემუქრებოდა, აბონენტი ელექ-
ტრომონტიორს კი გადაკვრით ისტუშრებდა.

4. ტელეინერები ჰქითხეს როგორა ხარი
და ვცოცხლობ ლეინის წყალობით.

5. დაწესებულებაში ცეცხლს არ ან-
თებდნენ, თანამშრომლებს კი ცეცხლი ედე-
ბოდათ.


6. ლუდის ჩამომსხმელი ლუდში წყალს
არ ურევდა, მაგრამ წყლის ადგილს ჭიქაში
ყოველთვის სტოკებდა.

7. ფერის საქონელი ზოგიერთი მწერ-
ლის ნამუშევარს მოგაგონებდათ: ჩინჩინი იყო
მხოლოდ, ხორცის შესხვა-ლა იქლდა.

არლი თაჟარიზოლი

შეფასრული შახეთი გ. ფირცხალაშვილი

მოძრაობის გააფიქილებოს ნინოთ,
თბილისის მთავარ ქუჩებზე, გადასამდე-
ლებოან დადგეს შექნიშება. მისაცის
მუშავები მოქალაქეებს ენერგიულად და-
ნუმარტავენ მოძრაობაში წესის.




გ. 56

შილიცის კოდვოლექციი გ. ნავარიზავილი—
ბავშვებს: როცა წითელი შექი ანთა, ბიჭიკა, უნდა და-
ცალო, მწვანე შექს უნდა ელოდოთ. ეს იყოს თქვენი პა-
შლი გაკვეთილი.

— ია, ჩვენ უკვე თოხი ვაკვეთილი, გაგვითავდა.

ნახ. ხ. გაგლობისა



გასრავლებელი: რამდენი გეოგრაფიული ხარცები იცით, ხავშევთ
გოსერავლები: ხაზი ხარცები, ბატოვცემული მასწავლებელი: ციფრი—ჩე-
ნი კლასი, ზომიერი—ხამასწავლებლი და ცხელი—დარექცორის კანინეთი.

ჩედაზორი—ვახტანგ ჭელიძე.

სარედაცვილი ქოლები: ა. ბელიაშვილი, ლ. გოგინევილი,
ვ. თორიძე, კ. ლორთქიძეანდე, ხ. უაშალიშვილი, გ. ჯაშა.

თბილისი. Сатирико-юмористический журнал «Ниангы». რედაქციის მინამართი: ჩუხთაველის პროსპ. № 42. ფერ. 3-10-49.

გამომც. № 4, ხელმოწ. დასაბ. 24/II-1956 წ. ქალ. ზოგა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფურცელი ბეჭდვის სტაბა, ჩარჩანიშვილის ქ. № 5.
ფურც. № 239. უ. 01815 ლირ. 25.000.

საქართველო
გიგანტი 1936

მუს დაბრელება კოლონიზაციაზესათვის

ნახ. გ. ლომი

